გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 67

2024 წლის 12 აპრილი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

პროექტი „შემოქმედებითი კომპასი“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება გოეთეს ინსტიტუტის მიერ. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერებაა, რამაც, საერთო ჯამში, რეგიონების მდგრად განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს. დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებით, პროექტი მუნიციპალიტეტებს თავიანთი ინფრასტრუქტურული რესურსების, შემოქმედებითი სივრცეებისა თუ ინდუსტრიული მემკვიდრეობის ახლებურ გააზრებასა და გამოყენებაში დაეხმარება. პროექტის მთავარი ამოცანები მოიცავს - ინოვაციური შემოქმედებითი სივრცეების შექმნისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირებას, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე ორიენტირებული დაფინანსების და შესაძლებლობების განვითარების საშუალებების შექმნას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოცხადებული იყო საგრანტო კონკურსი ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ, რომელშიც, სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტმაც გაიმარჯვა. საგრანტო კონკურსის მიზანია, საქართველოს 35 მუნიციპალიტეტში (თბილისის გარდა) კულტურის, შემოქმედებითი თუ სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურის ფიზიკური აღნუსხვა. შედეგად, შეიქმნება მსგავსი სივრცეების ერთიანი რუკა/მონაცემთა ბაზა, რომელიც შემოქმედებითთან ერთად, გააერთიანებს ისეთ სივრცეებსაც, რომლებიც არ აშენებულა ან/და მანამდე არ გამოიყენებოდა შემოქმედებითი მიზნებისთვის (მაგ: მიტოვებული საწყობები, ყოფილი საწარმოო ტერიტორიები და მსგავსი). ეს პროცესი საქართველოს რეგიონებს (მათ შორის გორის მუნიციპალიტეტს) დაეხმარება:

– არსებული კულტურისა და შემოქმედებითი სივრცეების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნაში.

– შემოქმედებითი ინდუსტრიების ინფრასტრუქტურის აღნუსხვისთვის საჭირო უნარების განვითარებაში.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აღნუსხვის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ მონაცემთა ბაზის - რუკის სახით. ფიზიკური აღნუსხვის პროცესი გამოაჩენს მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული რესურსების მრავალფეროვნებას (კულტურის ინფრასტრუქტურა, მიტოვებული ინდუსტრიული შენობები და სივრცეები და სხვა.) და გაზრდის მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურის, ინდუსტრიული და არქიტექტურული რესურსების შესახებ ცნობიერებას. აღნუსხვის შედეგად მოპოვებული მონაცემები ღირებული ინფორმაცია იქნება სივრცეების შემოქმედებითი ტრანსფორმაციის ინიციატორი/მონაწილე დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს რეგიონებში (მათ შორის გორის მუნიციპალიტეტში) საინტერესო შემოქმედებითი წამოწყებების შექმნასა და განვითარებაში.

„შემოქმედებითი კომპასის" პროექტს ჰყავს ცალკე ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, ექსპერტების პასუხისმგებლობაა:

ა) ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ბ) მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავება (ონლაინ ტრენინგების მეშვეობით) ინფრასტრუქტურის ფიზიკურ აღნუსხვაში.

გ) მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენელთა ფიზიკური აღნუსხვის პროცესში კონსულტაციის გაწევა.

საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლები გადამზადდებიან ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიაში და მიიღებენ კონსულტაციებს უშუალოდ ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესშიც. აღნუსხვის პროცესის დასრულების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი იმუშავებს მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ერთიან ბაზაში შეტანასა და საერთო დოკუმენტის შემუშავებაზე.

აღნიშნული საგრანტო კონკურსის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტი გოეთეს ინსტიტუტისგან მიიღებს გრანტს 5000 (ხუთი ათასი) ევროს ოდენობით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ვადა მოიცავს 2-თვიან პერიოდს, 2024 წლის აპრილიდან - მაისის ჩათვლით. ფიზიკური აღნუსხვის პროცესი უნდა დასრულდეს საგრანტო პერიოდის ბოლომდე. საგრანტო დაფინანსების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 18 ივნისამდე პერიოდით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის მე-7 პუნქტით საკრებულოს თანხმობა საქართველოს მთავრობის ნებართვის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე და გრანტის მიღებაზე სავალდებულოა, საჭიროა გორის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ზემოაღნიშნული გრანტის მიღებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მისცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში გოეთეს ინსტიტუტისგან მიიღოს გრანტი 5000 (ხუთი ათასი) ევროს ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში გოეთეს ინსტიტუტისგან მიიღოს გრანტი 5000 (ხუთი ათასი) ევროს ოდენობით.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT

თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო

პროექტი ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული და
საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა **18 მარტი, 2024**

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პროექტი “შემოქმედებითი კომპასი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია 4

1.1 „შემოქმედებითი კომპასი“ 4

1.2 საგრანტო კონკურსის ზოგადი მიმოხილვა და ამოცანები 4

1.3 აღნუსხვის პროცესის მიმოხილვა 5

2. გასაცემი გრანტების მოცულობა და რაოდენობა 5

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები 6

3.1 ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსში? 6

3.2 მონაწილეობის პირობები: 6

4. განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა 6

4.1 განაცხადის ფორმა: 6

4.2 განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა 7

5. წარდგენილი განაცხადების შეფასება 7

6. საკონტაქტო ინფორმაცია 7

1. შესავალი და ზოგადი ინფორმაცია

1.1 „შემოქმედებითი კომპასი“

პროექტი „შემოქმედებითი კომპასი“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია და ხორციელდება გოეთეს ინსტიტუტის მიერ. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერებაა, რამაც, საერთო ჯამში, რეგიონების მდგრად განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს, იქნება ეს მუნიციპალიტეტების შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და რესურსების წარმოჩენა და გაძლიერება, დაფინანსების საშუალებების შექმნა, მეწარმეობის ხელშეწყობა, თუ სექტორთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებით, პროექტი მუნიციპალიტეტებს თავიანთი ინფრასტრუქტურული რესურსების, შემოქმედებითი სივრცეებისა თუ ინდუსტრიული მემკვიდრეობის ახლებურ გააზრებასა და გამოყენებაში დაეხმარება. გარდა ამისა, პროექტი, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შემოქმედებითი ადამიანებისთვის შექმნის ბიზნესგანვითარების საშუალებებს და ხელს შეუწყობს სექტორთაშორისი თუ ქალაქთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავებას.

პროექტის მთავარი ამოცანები მოიცავს - ინოვაციური შემოქმედებითი სივრცეების შექმნისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირებას, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე ორიენტირებული დაფინანსების და შესაძლებლობების განვითარების საშუალებების შექმნას.

1.2 საგრანტო კონკურსის ზოგადი მიმოხილვა და ამოცანები

საგრანტო კონკურსის მიზანია, საქართველოს 35 მუნიციპალიტეტში (თბილისის გარდა) კულტურის, შემოქმედებითი თუ სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურის ფიზიკური აღნუსხვა. შედეგად, შეიქმნება მსგავსი სივრცეების ერთიანი რუკა/მონაცემთა ბაზა, რომელიც შემოქმედებითთან ერთად, გააერთიანებს ისეთ სივრცეებსაც, რომლებიც არ აშენებულა ან/და მანამდე არ გამოიყენებოდა შემოქმედებითი მიზნებისთვის (მაგ: მიტოვებული საწყობები, ყოფილი საწარმოო ტერიტორიები და მსგავსი).

ეს პროცესი საქართველოს რეგიონებს დაეხმარება:

- არსებული კულტურისა და შემოქმედებითი სივრცეების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნაში.
- შემოქმედებითი ინდუსტრიების ინფრასტრუქტურის აღნუსხვისთვის საჭირო უნარების განვითარებაში.

ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული აღნუსხვის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ მონაცემთა ბაზის - რუკის სახით. ფიზიკური აღნუსხვის პროცესი გამოაჩენს მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურული რესურსების მრავალფეროვნებას (კულტურის ინფრასტრუქტურა, მიტოვებული ინდუსტრიული შენობები და სივრცეები და სხვა.*), და გაზრდის მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურის, ინდუსტრიული და არქიტექტურული რესურსების შესახებ ცნობიერებას. აღნუსხვის შედეგად მოპოვებული მონაცემები ღირებული ინფორმაცია იქნება სივრცეების შემოქმედებითი ტრანსფორმაციის ინიციატორი/მონაწილე დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს რეგიონებში საინტერესო შემოქმედებითი წამოწყებების შექმნასა და განვითარებაში.

1.3 აღნუსხვის პროცესის მიმოხილვა

„შემოქმედებითი კომპასის“ პროექტს ჰყავს ცალკე ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიაზე. კერძოდ, ექსპერტების პასუხისმგებლობაა:

ა) ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ბ) მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენელთა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავება (ონლაინ ტრენინგების მეშვეობით) ინფრასტრუქტურის ფიზიკურ აღნუსხვაში.

გ) მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენელთა ფიზიკური აღნუსხვის პროცესში კონსულტაციის გაწევა.

საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლები გადამზადდებიან ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიაში და მიიღებენ კონსულტაციებს უშუალოდ ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესშიც.

აღნუსხვის პროცესის დასრულების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი იმუშავებს მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი მონაცემების ერთიან ბაზაში შეტანასა და საერთო დოკუმენტის შემუშავებაზე.

2. გასაცემი გრანტების მოცულობა და რაოდენობა

წარმატებული საგრანტო განაცხადის წარმდგენი თითოეული მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს 5,000 ევროს, ერთიანი გადახდის ფორმით (ე.წ. lump sum). გრანტის თანხა ჩაირიცხება საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ვადა მოიცავს 2-თვიან პერიოდს, 2024 წლის აპრილიდან - მაისის ჩათვლით. ფიზიკური აღნუსხვის პროცესი უნდა დასრულდეს საგრანტო პერიოდის ბოლომდე.

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები

3.1 ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსში?

- საქართველოს მუნიციპალიტეტებს ყველა რეგიონიდან (თბილისის გარდა).

შენიშვნა: *მუნიციპალიტეტი არის ქვედა დონის ადმინისტრაციული ერთეული საქართველოში. მუნიციპალიტეტი არის ერთადერთი ერთეული საქართველოში, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება. საქართველოში სულ 69 მუნიციპალიტეტია, რომელთაგან 64 თვითმმართველი თემია და 5 თვითმმართველი ქალაქი. მოსახლეობის მიხედვით ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტი დედაქალაქი თბილისია. 2008 წლიდან 5 მუნიციპალიტეტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ.*

3.2 მონაწილეობის პირობები:

საგრანტო განაცხადს წარადგენს იურიდიული პირი - მუნიციპალიტეტის მერია, საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით.

მუნიციპალიტეტის მერიებმა უნდა განსაზღვროს სულ მცირე 2 თანამშრომელი, რომელიც მუნიციპალიტეტის სახელით ჩაერთვება პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში. ამ თანამშრომელთა შორის, ერთ-ერთი სასურველია იყოს კულტურის სამსახურიდან, ხოლო დანარჩენ(ებ)ი - ეკონომიკის/ტურიზმის/ინფრასტრუქტურის ან სამსახურებიდან. სამსახურების წარმომადგენლებმა საკუთარი სამუშაო დროის 20% უნდა დაუთმონ პროექტით განსაზღვრულ აქტივობებს.

განმცხადებელი პირდაპირ არის პასუხისმგებელი საგრანტო კონკურსით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე.

შერჩეული განმცხადებლების (მუნიციპალიტეტების) წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაესწრონ ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიის ონლაინ ტრენინგს, 2024 წლის აპრილში.

4. განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა

4.1 განაცხადის ფორმა:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის, განმცხადებელმა უნდა მოამზადოს ელექტრონული განაცხადი GAP (Goethe Application Portal) პლატფორმაზე, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

- განცხადების წარმდგენი მუნიციპალიტეტი;
- მუნიციპალიტეტის სულ მცირე 2 თანამშრომელი, რომელიც ჩაერთვება პროექტის აქტივობებში;
- კონცეპტუალური ნაწილი: მოტივაცია, პასუხისმგებლობათა გადანაწილება და სხვ.

- დანართები: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის, მერის ან ვიცე-მერის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური წერილი, რომლითაც გამოხატულია მუნიციპალიტეტში ფიზიკური ინფრასტუქტურის აღნუსხვის გრანტის განხორციელების სურვილი და მზაობა.

4.2 განაცხადის ფორმის შევსება და გაგზავნა

განაცხადის წარდგენისთვის აუცილებელია:

1. რეგისტრაცია გოეთეს აპლიკაციის პორტალზე (GAP)
2. ინფორმაციის პორტალზე არსებული ინსტრუქციისა და დამაზუსტებელი კითხვების შესაბამისად წარმოდგენა.

ონლაინ განაცხადის წარდგენის შემდგომ, განმცხადებლები მიიღებენ დასტურის წერილს პორტალზე და მათ მიერ მითითებულ ელ.ფოსტაზე.

ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ: support.gap@goethe.de

ონლაინ საინფორმაციო სესია გაიმართება 2024 წლის 5 მარტს, 12:00 საათზე, *მონაწილეობისთვის მოგვწერეთ.*

ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსი ცხადდება 2024 წლის 16 თებერვალს. საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადაა 2024 წლის 18 მარტი, 23:59 საათი.

5. წარდგენილი განაცხადების შეფასება

შერჩევის კრიტერიუმები:

- მუნიციპალიტეტში ფიზიკური აღნუსხვის განხორციელების მოტივაცია/ინტერესი.
- მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებაში შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის/სივრცეების მნიშვნელობის განსაზღვრა/გააზრება.
- საჯარო-კერძო თანამშრომლობის გამოცდილება, კერძოდ, მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მაგალითები.
- წარმოდგენილი განაცხადისა და დანართი დოკუმენტების ხარისხი/მართებულობა.
  მაგ: ყველა სავალდებულო კითხვაზე პასუხი გაცემულია ნათლად და სრულყოფილად.

საგრანტო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 18 მარტი, 2024 წელი, 23:59.

6. საკონტაქტო ინფორმაცია

საგრანტო კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მოცემულ საკონტაქტო ელ.ფოსტაზე, 2024 წლის 11 მარტამდე.

თამარ ძაგანია ბარამიძე
გრანტების მენეჯერი
„შემოქმედებითი კომპასი“
creativecompass@goethe.de

** დეტალები დაზუსტდება ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ, რომელზეც მუშაობს ექსპერტთა ჯგუფი.*

*** შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაცია*

არქიტექტურა	მუსიკა
სახვითი ხელოვნება	რეკლამა
კინო და ვიდეო	საშემსრულებლო ხელოვნება
დიზაინი და მოდის ინდუსტრია	რეწვა
მედია და მაუწყებლობა	კულტურული მემკვიდრეობა
სახელოვნებო და კულტურის განათლება	ლიტერატურა და გამომცემლობა
გასტრონომია და კულინარია	ციფრული ტექნოლოგიები

Goethe Institut Application

Data sheet

შემოქმედებითი კომპასი - განაცხადების მიღება საქართველოს მუნიციპალიტეტებში ფიზიკური აღნუსხვის ჩასატარებლად
"ოთარ გვრიტიშვილი"
2024-40222

Applicant

Name:	გორის მუნიციპალიტეტის მერია		
Street:	გრიგოლ ფერაძის #5	**c/o**	
Place:	1400 გორი	**Country:**	Georgia
Phone:	598183674	**E-Mail:**	gvriti@mail.com

Contact person

Salutation:	ბატონი		
Last name:	გვრიტიშვილი	**First name:**	ოთარ
Street:	გრიგოლ ფერაძის #5	**c/o**	
Place:	1400 გორი	**Country:**	Georgia
Phone:	598183674	**Mobile:**	
E-Mail:	gvriti@mail.com		

Co-Applicants

Name	Function	Place	Country
თარხნიშვილი ალექსანდრე			
ედიშერაშვილი გიორგი			

ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსი საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის

სამიზნე აუდიტორია: საქართველოს მუნიციპალიტეტების მერიები (დედაქალაქ თბილისის გამოკლებით).

პროექტი „შემოქმედებითი კომპასი“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია და ხორციელდება გოეთეს ინსტიტუტის მიერ. პროექტის მთავარი მიზანი საქართველოს რეგიონებში შემოქმედებითი ინდუსტრიების გაძლიერებაა, რამაც, საერთო ჯამში, რეგიონების მდგრად განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს, იქნება ეს მუნიციპალიტეტების შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და რესურსების წარმოჩენა და გაძლიერება, მეწარმეობის ხელშეწყობა, სექტორთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, თუ დაფინანსების საშუალებების შექმნა.

საგრანტო კონკურსის მიზანია, საქართველოს 35 მუნიციპალიტეტში (თბილისის გარდა) კულტურის, შემოქმედებითი თუ სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურის ფიზიკური აღნუსხვა. შედეგად, შეიქმნება მსგავსი სივრცეების ერთიანი რუკა/მონაცემთა ბაზა, რომელიც შემოქმედებითთან ერთად, გააერთიანებს ისეთ სივრცეებსაც, რომლებიც არ აშენებულა ან/და მანამდე არ გამოიყენებოდა შემოქმედებითი მიზნებისთვის (მაგ: მიტოვებული საწყობები, ყოფილი საწარმოო ტერიტორიები და მსგავსი).

ეს პროცესი საქართველოს რეგიონებს დაეხმარება:

• არსებული კულტურისა და შემოქმედებითი სივრცეების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნაში.
• შემოქმედებითი ინდუსტრიების ინფრასტრუქტურის აღნუსხვისთვის საჭირო უნარების განვითარებაში.

გთხოვთ, დარეგისტრირდით: ონლაინ საინფორმაციო სესიაზე

• შეხვედრა გაიმართება, 5 მარტს 12:00 საათზე.

საგრანტო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 18 მარტი, 23:59 საათი.

ინფორმაციისთვის იხილეთ:

• ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო (GEO)

განმცხადებლის პროფილი

ორგანიზაცია

გორის მუნიციპალიტეტის მერია
გრიგოლ ფერაძის #5
1400 გორი

პასუხისმგებელი პირი

ბატონი
ოთარ გვრიტიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია

gvriti@mail.com
598183674

მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის დასახელება
გორის მუნიციპალიტეტი

საიდენტიფიკაციო ნომერი
218086087

ფართობი *(კმ2)*
1336.3

მოსახლეობა
118800

მუნიციპალიტეტის ვებგვერდი/სოციალური მედიის ანგარიში*:*

პასუხისმგებელი პირი (მთავარი საკონტაქტო პირი)

სახელი
ალექსანდრე

გვარი
თარხნიშვილი

პოზიცია/ფუნქცია მუნიციპალიტეტის მერიაში
ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

სამსახური
ადმინისტრაციის სამსახური

მობილურის ტელეფონი
599522011

ელ. ფოსტა
aleksandre.tarkhnishvili@gmail.com

პასუხისმგებელი მე-2 პირი (საკონტაქტო პირი):

სახელი
გიორგი

გვარი
ედიშერაშვილი

პოზიცია/ფუნქცია მუნიციპალიტეტის მერიაში
სააგენტოს დირექტორი/პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებზე

სამსახური
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის სააგენტო

მობილურის ტელეფონი
599191787

ელ. ფოსტა
Gio.edishera@gmail.com

განაცხადი

რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ კულტურის სექტორი, შემოქმედებითი ინდუსტრიები თქვენი მუნიციპალიტეტისთვის*?* რა წვლილი აქვს შეტანილი ამ სექტორს თქვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში*?*

გთხოვთ, აღწერეთ
გორი საქართველოს ერთერთი ძველი და ისტორიული ქალაქია, ქალაქის იდენტობა სწორედ მის შემოქმედობითობაზე, კულტურასა და განათლებაზე დგას. აქ მოღვაწე პიროვნებების (იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ივანე მაჩაბელი, ილიკო სუხიშვილი, ნიკო კეცხოველი, სოფრომ მგალობლიშვილი, სულხან ცინცაძე, მერაბ მამარდაშვილი) შექმედებითი კვალი იმდენად ღრმაა, რომ წარმოუდგენელი იქნებოდა თანამედროვე საქართველო არსებობა. გორი იყო ერთ ერთი პირველი, სადაც შეიქმნა სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (1930იანი წლები).
საგუნდო მუსიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო გორის ქალთა კამერული გუნდი, რამაც შემდგომში საფძუველი ჩაუყარა გორის საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალის (1986წ) დაარსებას.
გორის შემოქმედებით ინდუსტრიაში ერთ ერთი ძირითადი ადგილი უკავია გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრს, რომელიც პირველ პროფესიულ თეატრად ითვლება საქართველოში. 2014 წლიდან თეატრი ორგანიზებას უკეთებს საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, რომელიც ყოველწლიურად უფრო მაშტაბური ხდება. 2021 წლიდან მოღვაწეობს გორის ხელოვნების სახლი, რომელიც მუდმივმოქმედ საგამოფენო საქმიანობას ეწევა. მუნიციპლაიტეტში მოქმედებს 6 მუზეუმი, რომელთაგან განსაკუთრებულია ეთნოგრაფიული და უფლისციხის მუზეუმები.

რატომ არის საჭირო თქვენს მუნიციპალიტეტში პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის ფიზიკური აღნუსხვა? რა მიზნებისთვის გამოიყენებდით ამ პროცესის შედეგად შექმნილ მონაცემთა ბაზას? თქვენი აზრით, როგორ გააძლიერებდა ეს ცოდნა/მონაცემები თქვენს მუნიციპალიტეტს? გთხოვთ, მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.

გთხოვთ, აღწერეთ
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შემოქმედებითი ინდუსტრიების ინფრასტრუქტურა მეტწილად გამოსულია მწყობრიდან ან საჭიროებს რეაბილიტაციას, ამასთან ფუნდამეტიურადაა გადასახედი მართვის მოდელი და ადგილზე არსებული სასწავლო პროგრამები. მუნიციპალიტეტისათვის ეთრ ერთი დიდი გამოწვევაა გორში არსებული კულტურის ცენტრის ინფრასტრუქტურა, ე.წ. "სოფლის კლუბები"-ს ინფრასტრუქტურა, სასწავლო პროგრამები და კადრები.
პროექტის განხორციელებისას შექმნილი მონაცემთა ბაზა მუნიციპალიტეტს მისცემს პრობლემის სიღრმისეულად გაანალიზების საშუალებას, რაც შემდგომში მისი გადაჭრისათვის აუცილებელი წინაპირობაა.
ჩავატარებდით საჭიროებების კვლავას, რათა ის სერვისი რომელსაც მუნიციპლიტეტის კულტურის სამსახურ სთავაზობს მოსახლეობას მაქსიმალურად ახლოს იყოს მოთხოვნასთან. კვლევიდან ამოსული მიგნებებიდან შესაძლებელი იქნება ახალი პროგრამების დანერგვა. ასევე, მიღებული მონაცემთა ბაზის ანალიზის შედეგად შესაძლებელია ქორეოგრაფიული ან სახელოვნებო ფესტივალის შექმნა. მაგ: შესაძლებელია მეჯვრისხევში (ილიკო სიხიშვილის დაბ. ადგილი) ქორეოგრაფიული ფესტივალის დაარსება, რომელიც შემდგომში საერთაშორისო მაშტაბის გახდება.

როგორ ფიქრობთ, თქვენი მუნიციპალიტეტიდან პროექტში ჩართული გუნდის რა უნარ-ჩვევები და გამოცდილება დაგეხმარებათ ფიზიკური აღნუსხვის საფუძვლიანად ჩატარებაში? გთხოვთ, აღწერეთ პროექტში ჩართულ თანამშრომელთა ფუნქციების გადანაწილება.

გთხოვთ, აღწერეთ
ალექსანდრე თარხნიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტარციის სამსახუსრის უფროსი - რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა ბიუროკრატიულ და სამართლებრივ საკითხების მოგვარებაში.
გიორგი ედიშერაშვილი-გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის სააგენტოს დირექტორი, რომელიც პროექტის ფარგლლებში პასუხისმგებელი იქნება საერთაშორისო კავშირების, გამოცდილების გაზიარების და

სამომავლო გეგმების შემუშავებაში და პოტენციური დონორების მოზიდვაში.
რამაზ შიოშვილი-განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური-რომელიც ახორციელებს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, მუნიციპალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვას.
გვანცა მჭედლიშვილი-კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს დირექტორი-სააგენტო უშუალოდ არის პასუხისმგებელი მუნ. პროგრამების განხორციელების, შენობა ნაგებობების მოვლაზე და ა.შ.
ქეთევან დვალიშვილი-კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს დირექტორის მოადგილე, პასუხისმგებელია მუნ. პროგრამების შინაარსზე, პედაგოგების კვალიფიკაციაზე და ა.შ.
ოთარ გვრიტიშვილი-კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტექნიკური სამსახურის მენეჯერი-პასუხისმგებელია პროექტში შინაარსობრივ და ვიზუალურ ნაწილზე.

რა ტიპის კულტურის, თუ თავდაპირველად სხვა ფუნქციით შექმნილი ინფრასტრუქტურა არსებობს თქვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით? შეგიძლიათ დაასახელოთ სულ მცირე 5 კონკრეტული შენობა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს შემოქმედებითი/კულტურის მიმართულებით განვითარების სამომავლო პოტენციალი?

გთხოვთ, აღწერეთ
მუციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედების კულტურის ცენტრი, რომელიც აერთიანებს ე.წ. "სოფლის კლუბებს", 600 კაცია საკონცერტო დარბაზს (რომელიც ყველაზე დიდია რეგიონში და მუდმივად დატვირთულია), 120 მცირე დარბაზს, სატრენინგო 30 კაციან ახალგაზრდულ ცენტრს და სხვადასხვა სახელოვნებო წრეებს.
ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლა, რომელშიც 300მდე მოსწავლეა.
გორის ეთნოგრაფიული მუზეუმი-გამორჩეული კოლექციებით და საგამოფენო ექსპოზიციით წარმოდგენილი სივრცე,მათ შორის საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამებით.
გორის გ.ერისთავის სახელობის სახ.დრამატული თეატრი-ერთერთი მძლავრი კერა შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში.
გორის ს.ცინცაძის სახ.მუსიკალური კოლეჯი-სადაც მოღვაწეობს გორის ქალთა კამერული გუნდი, გორის გოგონათა გუნდი.

გორში არსებული რაიონის კულტ.სახლი.
გორში არსებული სადგურის კინო კლუბის შენობა.
სოფლების ტყვიავის, მეჯვრისხევის, ზერტის, ქიწნისის, ძევერის, ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრები/კლუბები
ზემოთ ჩამოთვლილი/მონიშნული შენობები მეტ წილად გამოსულია მწყობრიდან და ნაწილობრივ ან სრულად ვერ ასრულებს ფუნქციებს.

რა სახის გამოცდილება აქვს თქვენს მუნიციპალიტეტს საჯარო-კერძო პარტნიორობის მიმართულებით? გთხოვთ, დეტალურად აღწერეთ თქვენ მიერ/თქვენი ჩართულობით განხორციელებული სულ მცირე ერთი პროექტი/ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი. (ერთი მაგალითი მაინც)

გთხოვთ, აღწერეთ
ყველაზე ნათელი მაგალითია - გორის ხელოვნების სახლი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციას გორელ ფოტოგრაფთა კლუბს გადაეცა 2016 წელს, რომლის შემდგომაც მოხდა სივრცის სრული რეაბილიტაცია და დღეს საქართველოს რეგიონების მაშტაბით ერთ ერთი გამორჩეული სახელოვნებო სივრცეა.
პროექტი ხელოვნების სახლი-Art house საუკეთესო მაგალითია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო სექტორის თანამშრომლობისა.

სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ, მოცემულ ველში მიუთითოთ, თქვენი მუნიციპალიტეტის მიერ, ბოლო 4 წლის განმავლობაში, შემოქმედებითი ინდუსტრიების კუთხით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი ბმულები.

გთხოვთ, აღწერეთ
2020 წელს მუნიციპალიტეტის უშუალო ჩართულობით გამართული საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - "კომედიის ფესტივალი - Comedy Fest"
https://www.facebook.com/photo?fbid=1558631864308651&set=a.419637398208109&locale=ka_GE

2023 წელს გორის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი.
https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/20850-27-30-seqtembers-gorshi-sagundo-musikis-festivali-gaimartheba

ფიზიკური აღნუსხვის დაწყების თარიღი: 1 აპრილი 2024

ფიზიკური აღნუსხვის დასრულების თარიღი: 31 მაისი 2024

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ფიზიკური აღნუსხვის განხორციელება შეიძლება დაიწყოს ყველაზე ადრე 2024 წლის 1 აპრილს და დასრულდეს ყველაზე გვიან 2024 წლის 31 მაისს.

მოთხოვნილი თანხა: 5 000 ევრო

გრანტის მიღების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს 5 000 ევროს ოდენობის გრანტს ფიზიკური აღნუსხვის ჩასატარებლად.

მონაცემთა დაცვა

ინფორმაცია მონაცემთა დაცვის შესახებ განაცხადებისთვის

გოეთეს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საგრანტო კონკურსის, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ფიზიკური აღნუსხვის ჩასატარებლად.
ჩვენ, გოეთეს ინსტიტუტი e.V. Oskar-von-Miller-Ring 18, 80333 მიუნხენი, გერმანია, გვსურს გაცნობოთ, თუ რომელ პერსონალურ მონაცემებს ("მონაცემებს") ვამუშავებთ, როდესაც ჩვენთან განაცხადს ონლაინ ფორმის საშუალებით წარადგენთ. ჩვენ ასევე გვსურს გაცნობოთ იმ უფლებების შესახებ, რომლებიც თქვენ გაგაჩნიათ.
შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ზემოთ აღნიშნულ საფოსტო მისამართზე დამატებით "მონაცემთა დაცვის ოფიცერი" ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით datenschutz@goethe.de.

1.რომელი მონაცემები მუშავდება?
განაცხადის მიღებისას ჩვენ ვინახავთ და ვამუშავებთ თქვენსა და განაცხადში მონაწილე სხვა პარტნიორების შესახებ მოწოდებულ მონაცემებს.
2.რა მიზნით ხდება მონაცემების დამუშავება?
მონაცემები მუშავდება თქვენი განაცხადის შესაფასებლად და - რამდენადაც ხელშეკრულება გაფორმებულია - ასევე ხელშეკრულების შესასრულებლად კანონიერ საფუძველზე. პუნქტი #6. 1-ლი პარაგრაფი ბ) მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია.
3. ვინ იღებს მონაცემებზე წვდომას?
შიდა მონაცემების დამუშავება ხდება პროექტ შემოქმედებითი კომპასის გუნდისა და „თანამშრომლობისა და მესამე მხარის დაფინანსების“ განყოფილების მიერ. საჭიროების შემთხვევაში, მონაცემები გადაეცემა გოეთეს ინსტიტუტებს გერმანიასა და გოეთეს ინსტიტუტებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ასევე ევროკავშირს, როგორც დონორს. გარდა ამისა,

შესაბამისი ჟიურის ყველა წევრი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას განაცხადების შესახებ, იღებს მონაცემებზე დროებით და შეზღუდულ წვდომას.

თქვენი მონაცემები ასევე შეიძლება გადაეცეს გოეთეს ინსტიტუტებს, რომლებსაც აქვთ რეგისტრირებული ოფისი ევროკავშირის *(EU)* ან ევროპის ეკონომიკური ზონის *(EEA)* გარეთ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მონაცემები დატოვებს ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური ზონას, ჩვენ უზრუნველვყოფთ მონაცემთა დაცვის შესაბამის დონეს აღნიშნულ მესამე ქვეყნებში გადასაცემად, იქ მდებარე გოეთეს ინსტიტუტთან ევროკავშირის მონაცემთა დაცვის სტანდარტული პუნქტების გაფორმებით.
ამ მიზნით ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულია ევროკავშირის სტანდარტული მონაცემთა დაცვის პუნქტები. თქვენ შეგიძლიათ მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენგან მიიღოთ ამ შეთანხმების ასლი. გთხოვთ, დაუკავშირდეთ ზემოთ აღნიშნულ საკონტაქტო პირებს.
ჩვენ ვიყენებთ გარე მომსახურების მომწოდებლებს *IT* სერვისისთვის, რომლებსაც შეუძლიათ თქვენს მონაცემებზე წვდომა, ჩვენი ტექნიკური სისტემების მუშაობისა და შენარჩუნებისთვის, რომლებზეც ინახება მონაცემები. ჩვენ ყურადღებით ვახდენთ მომსახურების მომწოდებლების შერჩევას და წერილობით ვანიჭებთ უფლებამოსილებას. ისინი მკაცრად ემორჩილებიან ჩვენს მითითებებს და რეგულარულად მოწმდებიან ჩვენს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იურიდიულად ვალდებული ვართ, თქვენი მონაცემები მხოლოდ სხვა მესამე პირებს გადაეცემა.

4. რამდენ ხანს ინახება მონაცემები*?*
ჩვენ ვინახავთ წარმატებული განმცხადებლების მონაცემებს *10* წლის მანძილზე. წარუმატებელი განმცხადებლების მონაცემები კი ინახება *3* წლის განმავლობაში. თუ ამ დროის გასვლის შემდეგ ახალი განაცხადი არ იქნა წარდგენილი, თქვენი მონაცემები წაიშლება, თუ თქვენ ან თქვენი ორგანიზაცია პირდაპირ არ მოითხოვთ მონაცემთა ხანგრძლივ შენახვას.
რა თქმა უნდა, თქვენ ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი მონაცემების ადრეული წაშლა. ამ შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ *support.gap@goethe.de*

5. თქვენი უფლებები

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ დასტური, დამუშავებულია თუ არა თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები*;* თუ ეს ასეა, თქვენ გაქვთ ამ პერსონალურ მონაცემებზე და მითითებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება *(*მუხლი *15 GDPR).*

თქვენ გაქვთ უფლება ჩვენგან მოითხოვოთ თქვენთან დაკავშირებული ნებისმიერი არასწორი პერსონალური მონაცემის გასწორება და, საჭიროების შემთხვევაში, შეავსოთ არასრული პერსონალური მონაცემები დაუყოვნებლად *(*მუხლი *16 GDPR).*

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ, თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების, დაუყოვნებლივ წაშლა თუ მიზეზი დაკავშირებულია მუხლთან *# 17 GDPR.* მაგ. თუ მონაცემები დასახული მიზნებისათვის აღარ არის შესაბამისი *(*წაშლის უფლება*).*

თქვენ გაქვთ უფლება მოგვთხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა, თუ მიზეზი ერთ-ერთ პუნქტს ეხება მუხლში *#18 GDPR*, ე.ი. თუკი არ ეთანხმებით პუნქტებს მონაცემთა დამუშავებაზე მოკვლევის პერიოდში.

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ თქვენს შესახებ მოწოდებული მონაცემები, გაერთიანებულად სტრუქტურირებულ და ავტომატურად წაკითხვად ფორმატში. თქვენ ასევე შეგიძლიათ გადაიტანოთ ეს მონაცემები სხვა ლოკაციებზე ან ჩვენ მოვახდენთ გადატანას. *(*მონაცემთა პორტაბელურობის უფლება*).*

თქვენი უფლებების განსახორციელებლად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ*: datenschutz@goethe.de*

ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ან სასამართლო დაცვის საშუალების შეფერხების გარეშე, თქვენ გაქვთ უფლება მიმართოთ სამეთვალყურეო ორგანოს, თუ თვლით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ეწინააღმდეგება *GDPR*-ს *(მუხლი 77 GDPR).* გერმანიაში კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოა*:* მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ფედერალური კომისარი*, Husarenstr. 30, 53117* ბონი*, www.bfdi.bund.de.*

თქვენ ასევე შეგიძლიათ შეიტანოთ თქვენი საჩივარი მონაცემთა დაცვის ნებისმიერ სხვა ორგანოში. შემდეგ ის გადაეგზავნება პასუხისმგებელ სამეთვალყურეო ორგანოს.

თუ თქვენი განაცხადის დამუშავება მოიცავს ისეთ პერსონალური მონაცემების დამუშავებას *(*როგორიცაა თქვენი სახელი, მისამართი და *CV),* ასეთი მონაცემები დამუშავდება *2018/1725* რეგულაციის *(EU) 2018/1725* რეგულაციის *(EU)* შესაბამისად. რეგულაცია ეფუძნება ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პირადი ინფორმაციის დამუშავებას შემდეგი ორგანოებისგან*:* ინსტიტუციების, ორგანოების, ოფისებისა და სააგენტოების მონაცემები და ასეთი მონაცემების თავისუფალ გადაადგილებაზე, და გააუქმებს რეგულაციას *(EC) No45/2001* და გადაწყვეტილებას *No1247/2002/EC.*

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დეტალები ხელმისაწვდომია კონფიდენციალურობის განცხადებაში*: https://ec.europa.eu/dpo-register/detail/DPR-EC-05067* თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება დარეგისტრირდეს ადრეული გამოვლენისა და გამორიცხვის სისტემაში *(EDES),* თუ თქვენ იმყოფებით ფინანსური რეგულაციის *136*-ე მუხლში ნახსენებ ერთ-ერთ მოცემულობაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კონფიდენციალურობის განცხადება *http://ec.europa.eu/budget/library/explained/management/protecting/privacy_statement_edes_en.pdf* ვაღიარებ და ვეთანხმები, რომ *"*შემოქმედებითი საქართველო*"* გამოიყენებს ჩემს პერსონალურ მონაცემებს, ისევე როგორც ჩემი პროექტის სურათებსა და ვიდეოებს სტატისტიკის წარმოებისა და საკომუნიკაციო მიზნებისთვის.

2024 წლის იანვარი
გოეთეს ინსტიტუტი *e.V.*

გავეცანი მონაცემთა დაცვის დეკლარაციას და თანხმობას ვაცხადებ წარდგენილი მონაცემების დამუშავებაზე.

ვადასტურებ, რომ ყველა წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სისწორეს. ვაცნობიერებ, რომ მცდარმა ინფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს საკონკურსო განაცხადის უარყოფა და შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტაც.

განაცხადი თანხმობის შესახებ

ვადასტურებ, რომ განაცხადით გათვალისწინებული აქტივობებისთვის სხვა წყაროსგან დაფინანსება არ მიმიღია.

იმ შემთხვევაში თუ განაცხადით გათვალისწინებული აქტივობების დასაფინანსებლად მივმართავ სხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებს და მივიღებ დაფინანსებას, აღნიშნულის შესახებ დაუყონებლივ შევატყობინებ გოეთეს ინსტიტუტს.

ვადასტურებ, რომ აღნიშნული განაცხადი მოვამზადე საგრანტო კონკურსში განაცხადების შერჩევაზე პასუხისმგებელი პირის/პირების პირდაპირი ჩართულობის გარეშე.

ვადასტურებ, რომ არ ვარ გოეთეს ინსტიტუტში ან კონსორციუმის პარტნიორი ორგანიზაციის პროექტში დასაქმებული და ჩემი ოჯახის წევრი არ არის ჩართული განაცხადების შერჩევის პროცესში.

ვაცხადებ, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად, არ არსებობს ფაქტობრივი, პოტენციური ან აღქმული ინტერესთა კონფლიქტი.

ვაცხადებ, რომ ევროკავშირს არ დაუწესებია შემზღუდველი ზომები ჩემ მიმართ.

ვაცხადებ, რომ ამ დრომდე, ჩემ მიმართ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ხელშეკრულების გაწყვეტის ან ევროკავშირის მხრიდან ჯარიმის დაკისრების ფაქტი არ დამდგარა.

შენახვა და გაგზავნა

დასკვნითი შენიშვნები

თქვენ მიერ შევსებული ინფორმაცია არასრულია. ამიტომ, განაცხადის გაგზავნა ჯერჯერობით შეუძლებელია. გთხოვთ, შეავსოთ შემდეგი გვერდები:

გრანტის ხელშეკრულება

გრანტის ხელშეკრულება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ - ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ

DRAFT

GOETHE INSTITUT

Sprache. Kultur. Deutschland.

ხელშეკრულების მხარეები:

Goethe-Institute.V, წარმოდგენილი **საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის** სახით, მისამართი: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. ზანდუკელის ქუჩა #16, წარმოდგენილი **ინსტიტუტის დირექტორის, ქ-ნი ლაურა ჰარტცის,** მიერ,

- შემდგომში წოდებული "**გოეთეს ინსტიტუტი"**

და

1. **ბენეფიციარი**

სრული ოფიციალური სახელწოდება:

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო

რეგისტრაციის კოდი:

ოფიციალური მისამართი:

წარმოდგენილი ..... სახელი / თანამდებობა:

- შემდგომში წოდებული, როგორც „ბენეფიციარი".

გოეთეს ინსტიტუტი და ბენეფიციარი ერთად წოდებულია, როგორც „ხელშეკრულების მხარეები". ევროკავშირის მოქმედი კანონის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად და ევროკავშირის კონტრაქტის, ნომრით NDICI-GEO-NEAR/2023/443-463, ფარგლებში, ხელშეკრულების მხარეები აფორმებენ შემდეგ ხელშეკრულებას:

DRAFT

გრანტის ხელშეკრულება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ ფარგლებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ

§ 1 ხელშეკრულების მიზანი

(1) ხელშეკრულების და მისი დანართების შესაბამისად, გოეთეს ინსტიტუტი ბენეფიციარს გადასცემს გრანტს, რომლის თანხა შეადგენს

[5,000 ევრო]

(სიტყვიერად: ხუთი ათასი ევრო)

ერთიანი თანხის სახით.

(2) აღნიშნული გრანტი გაიცემა მხოლოდ პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის (დანართი 1 – საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო „საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტებში ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერა) და ბენეფიციარის განაცხადის (დანართი 2 – ბენეფიციარის განაცხადი, პროექტის აღწერილობა), სამუშაო გეგმის (დანართი 3 - სამუშაო გეგმა და სახელმძღვანელო მითითებები), ოფიციალური წერილის (დანართი 4 – ოფიციალური მხარდაჭერის წერილი მუნიციპალიტეტის მერიისგან), ბიუჯეტისა (დანართი 5 – ბიუჯეტი) და ანგარიშგების (დანართი 6 – საბოლოო შინაარსობრივი ფორმა) საფუძველზე, საქართველოს 35 მუნიციპალიტეტში თბილისის გარდა, ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მიზნით (გრანტის მიზანი).

პროექტის სახელი:	**მუნიციპალიტეტი:**
ფიზიკური აღნუსხვის განხორციელება საქართველოს მუნიციპალიტეტებში.	**აქტივობების მოკლე აღწერილობა**

(3) სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი. ხელშეკრულების მხარეები სამუშაო გეგმაში კონკრეტულად მიუთითებენ შემდეგს:

ა) დაფინანსების ტიპი, როგორიცაა გრანტის თანხა, გრანტის ერთიანი თანხის გამოყენება.

DRAFT

ბ) კონკრეტული სამუშაო გეგმა, რომელიც გამოიყენება ეტაპების დასაგეგმად.
გ) წინასწარი გადახდის თანხა და გადახდის განრიგი.
დ) ბენეფიციარის ანგარიშგების და ჩანაწერების წარმოების ვალდებულებები.

(4) ბენეფიციარი იღებს გრანტს და განახორციელებს ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს.

(5) § 5 მითითებული დებულებების დაცვის ვალდებულება.

(6) ქვემოთ ჩამოთვლილი დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილებს:

დანართი	სახელი
დანართი 1	საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო „საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტებში ფიზიკური აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერა
დანართი 2	ბენეფიციარის განაცხადი, პროექტის აღწერილობა
დანართი 3	სამუშაო გეგმა და სახელმძღვანელო მითითებები
დანართი 4	ოფიციალური მხარდაჭერის წერილი მუნიციპალიტეტისგან
დანართი 5	ბიუჯეტი
დანართი 6	საბოლოო შინაარსობრივი ფორმა

§ 2 დაფინანსების პერიოდი

საგრანტო დაფინანსების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 18 ივნისამდე პერიოდით. დაფინანსების ვადის ამოწურვის შემდეგ ფინანსური ურთიერთკავშირის გაგრძელების უფლება არ გაიცემა.

§ 3 უფლებების დაცვა

გოეთეს ინსტიტუტი ინარჩუნებს უფლებას შეამციროს ფინანსური დახმარება ან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური

ხელშეწყობისთვის საჭირო სახსრები საერთოდ ან სრულად არ არის ხელმისაწვდომი იმ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, რომლებზეც პასუხისმგებელი არ არის გოეთეს ინსტიტუტი, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკომისია საერთოდ ან სრულად არ გასცემს სახსრებს.

§ 4 ბენეფიციარის ვალდებულებები

ბენეფიციარმა გრანტის გამოყენებისას უნდა შეასრულოს შემდეგი დებულებები.

(1) გრანტი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიზნების განსახორციელებლად და გამოყენებული უნდა იყოს ეფექტიანად და ბიუჯეტის ფარგლებში.

(2) ზოგიერთ შემთხვევაში, გოეთეს ინსტიტუტიდან გრანტის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით თუ და როგორც კი, ისინი საჭირო იქნება გრანტის ფარგლებში დასაშვები ხარჯების დასაფარად, რომლებიც გადახდილი უნდა იყოს მოთხოვნიდან ორი თვის განმავლობაში.

(3) ბენეფიციარმა უნდა შეასრულოს სამუშაო გეგმაში მითითებული ეტაპები.

(4) გრანტი არ უნდა იყოს გამოყენებული ფინანსური რეზერვების შესაქმნელად.

(5) ბუღალტრული აღრიცხვა და ჩანაწერების წარმოება უნდა მოხდეს მიზანმიმართულად, ადვილად გასაგები ფორმით და ეროვნული რეგულაციების დაცვით.

(6) ქვითრები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას და მიმაგრებულ დოკუმენტებს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ფინანსურ ტრანზაქციებში, ხოლო ხარჯების სააღრიცხვო ჩანაწერებში კონკრეტულად უნდა მიეთითოს გადახდის მიმღები, გადახდის მიზანი და თარიღი, გადახდის დამადასტურებელი საბუთი და, ერთეულების შემთხვევაში, გამოყენების დანიშნულება.

(7) ბენეფიციარმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის უფლებების პატივისცემას და ყველა მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოს დაცვის მრავალმხრიანი ხელშეკრულებების, ასევე საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული

შრომის სტანდარტების დაცვას. ბენეფიციარმა მხარი არ უნდა დაუჭიროს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ხელს უწყობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, ტერორიზმის დაფინანსებას, გადასახადებისგან თავის არიდებას, საგადასახადო მაქინაციებს.

(8) ბენეფიციარმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გოეთეს ინსტიტუტს გრანტთან დაკავშირებული გარემოებების ცვლილების ან ძალის დაკარგვის შესახებ. კერძოდ, ასეთ გარემოებებში შედის:

ა) გარემოებები, რომელიც მოიცავს ან შესაძლოა წარმოქმნას ინტერსთა კონფლიქტი.
ბ) პროექტის განაცხადში მითითებული კრიტერიუმები (დანართი 1 - საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო, საგრანტო განაცხადებისთვის, დანართი 2 - ბენეფიციარის განაცხადი, მათ შორის პროექტის აღწერილობა).
გ) ერთიდაიმავე პროექტის ორმაგი დაფინანსება.
დ) პროექტის გაუქმება / ვადამდე შეწყვეტა.

(9) პროექტთან დაკავშირებულ ყველა პუბლიკაციაში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, რომ პროექტი ფინანსდება ევროკავშირის მიერ, გოეთეს ინსტიტუტის და ევროკავშირის ემბლემასთან ერთად. გოეთეს ინსტიტუტი კონტრაქტის პარტნიორს წარუდგენს ლოგოს.

(10) იმ პირობით, თუ ინფორმაციის გამჟღავნება ზიანს არ მიაყენებს ბენეფიციარ(ებ)ის უსაფრთხოებას ან მის ინტერესებს, გოეთეს ინსტიტუტი და ევროკომისია ბენეფიციარ(ებ)ის სახელს და მისამართს, ასევე გრანტის თანხას და დანიშნულებას გამოაქვეყნებს ნებისმიერი ფორმით და საშუალებით, მათ შორის თავიანთ ვებ-გვერდებზე. თუ ბენეფიციარი ჩათვლის, რომ ზემოხსენებული მონაცემების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით არსებობს რისკი, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს გოეთეს ინსტიტუტს.

§ 5 დასაშვები ხარჯები და შესყიდვები

(1) პროექტის ფარგლებში დასაშვები ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც:

ა) დაკავშირებულია გრანტის მიზანთან და საჭიროა პროექტის განხორციელებისთვის.
ბ) ფაქტობრივად გაწეულია ბენეფიციარის მიერ,
გ) გაწეულია დაფინანსების პერიოდში,
დ) პირდაპირ მითითებულია ბიუჯეტში,

ე) აკმაყოფილებს მოქმედ საგადასახადო და სოციალური კანონმდებლობის დებულებებში მითითებულ მოთხოვნებს,
3) არის გონივრული და დასაბუთებული და შეესაბამება ფინანსების მდგრადი მართვის პრინციპებს, კერძოდ ფინანსურ შეზღუდვებთან და ეფექტურობასთან დაკავშირებით.

(2) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ექვემდებარება ანაზღაურებას/დაკავებას ბენეფიციარის მიერ. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, რომ არ არის გათავისუფლებული გადასახადისგან და არ შეუძლია გადასახადების ამოღება მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად. დამადასტურებელი საბუთი წარდგენილი უნდა იყოს გრანტის პირველი შენატანის გადახდამდე. ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დასადასტურებლად ზემოაღნიშნული თარიღისთვის მიღებული იქნება საჭირო ზომები.

(3) ეკონომიისა და ეფექტურობის და თანაბარი შესაძლებლობების და გამჭვირვალობის მხარდაჭერის მიზნებისთვის, სამშენებლო, მიწოდების და მომსახურების საკომისიოები და კონცესიები ძირითადად მიენიჭება კონკურსის საფუძველზე. კერძოდ, ბენეფიციარმა უნდა მოიპოვოს სამი სატენდერო წინადადება, კონტრაქტი მიენიჭება ეკონომიკურად ყველაზე მომგებიან სატენდერო წინადადებას, ამასთან მუდმივად უნდა მოხდეს ტენდერის პროცედურის დოკუმენტირება. სხვა შემთხვევებში გამოყენებული უნდა იყოს ევროკავშირის მიერ დადგენილი პირობები და სახელმწიფო შესყიდვების წესები, რომლებიც ვრცელდება ბენეფიციარზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტანდარტული კომერციული ფასდაკლებების გამოყენება და ინტერესთა კონფლიქტის აცილება. შესყიდული საქონელი გამოყენებული უნდა იყოს დაფინანსების ვადის დასრულებამდე და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის მიზნებისთვის.

ბენეფიციარს შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს პროექტისთვის შესყიდული საქონელი (მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, სახარჯი მასალები) დაფინანსების პერიოდის დასრულების შემდეგ. ბენეფიციარმა ყველა პროდუქტზე, რომელიც რჩება მის მფლობელობაში, უნდა მიუთითოს, რომ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ასევე საგრანტო პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

DRAFT

(4) ტექნიკური მოწყობილობები და სხვა აღჭურვილობის შესყიდვა შესაძლებლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განკუთვნილია სპეციალურად პროექტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის. ბენეფიციარმა უნდა აწარმოოს ტექნიკური მოწყობილობის აღწერა და არ გაყიდოს ან გამოიყენოს სხვა მიზნებისთვის.

§ 6 გრანტის გადახდა

(1) გრანტის გადახდის პირობები მითითებულია დანართში #5: ბიუჯეტი.

(2) ანგარიშგების პერიოდი:

- ანგარიშგების პერიოდი: 2024 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

(3) ერთზე მეტი ანგარიშგების პერიოდის შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა გაანახლოს სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი და წარუდგინოს გოეთეს ინსტიტუტს ანგარიშგების პერიოდში, შესაბამისი ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 დღეში, რომელიც კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს:

ა) სამუშაო გეგმის განახლებას პროექტის განხორციელების პროცესთან და მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით;
ბ) ბიუჯეტის განახლებას (დანართი 5 - ბიუჯეტის განახლება), დასრულებული ანგარიშგების პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯების, მომდევნო ანგარიშგების პერიოდში ხარჯების პროგნოზის, ხარჯების მუხლების განახლებული განმარტების და მომდევნო ანგარიშგების პერიოდისთვის შეფასებული ხარჯების დასაბუთების ასახვის მიზნით; და
გ) ხარჯების დადასტურების განახლებას, ე.ი. ქვითრების ჩამონათვალი და მათემატიკური დადასტურება.

(4) მოთხოვნის შემთხვევაში, ხარჯების დადასტურებაში და ნუმერაციულ დადასტურებაში შემოსავლები და ხარჯები ჩამოთვლილი უნდა იყოს პუნქტებად, ქრონოლოგიური წესით და ერთმანეთისგან გამოიყოს სამუშაო გეგმის ან/და ბიუჯეტის და ფინანსური გეგმის სტრუქტურის მიხედვით. მტკიცებულება უნდა მოიცავდეს საგრანტო ობიექტთან დაკავშირებულ ყველა შემოსავალს და ხარჯს.

(5) თითოეული განახლების შემდეგ ბენეფიციარი ბიუჯეტის და ფინანსურ გეგმაში დაადასტურებს, რომ გაწეული ხარჯები იყო საჭირო, დაცული იყო ფინანსური

შეზღუდვები და ეფექტურობა და რომ ინფორმაცია შეესაბამება ბუღალტრულ წიგნებს და ორიგინალ ქვითრებს.

(6) გოეთეს ინსტიტუტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს ორიგინალი ქვითრები.

(7) საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარი გოეთეს ინსტიტუტს გადახდის მოთხოვნას გაუგზავნის მომდევნო ანგარიშგების პერიოდის დადგომამდე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(8) გრანტის თანხის გადახდამდე, გოეთეს ინსტიტუტი გადახდის მოთხოვნას შეამოწმებს განახლებული სამუშაო გეგმის ან/და ბიუჯეტის და ფინანსური გეგმის გათვალისწინებით, შეამოწმებს არის თუ არა ხარჯები რეალური, ზუსტი, სათანადოდ აღრიცხული და დასაშვები საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება § 10 .

(9) შემოწმების შემთხვევაში რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის გამოვლენისას, გოეთეს ინსტიტუტმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტები და უფლება აქვს შეაჩეროს, შეწყვიტოს ან გამოითხოვოს გრანტი. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება § 8 გრანტის შეჩერება, შემცირება და შეწყვეტა და § 12 .

(10) თუ შემოწმების შედეგად შეუსაბამობა არ გამოვლინდება, გადახდა განხორციელდება სამუშაო გეგმაში ან/და ბიუჯეტის და დაფინანსების გეგმაში შეთანხმებული წესით, ბენეფიციარის შემდეგ ანგარიშზე:

ანგარიშის
მფლობელი:
ანგარიშის no. / IBAN:
ბანკის კოდი/BIC:
ფინანსური
დაწესებულება:

DRAFT

§ 7 გაუხარჯავი სახსრები

თუ პროექტის განხორციელების პროცესში ან შემდეგ ცხადი გახდება, რომ გრანტის თანხის ნაწილი არ არის ან აღარ არის საჭირო გრანტის მიზნებისთვის, გაუხარჯავი თანხები უნდა დაუბრუნდეს გოეთეს ინსტიტუტს ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე, პროქტის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღეში.

ანგარიშის
მფლობელი:
ანგარიშის no. / IBAN:
ბანკის კოდი/BIC:
ფინანსური
დაწესებულება:

§ 8 გრანტის შეჩერება, შემცირება და შეწყვეტა

(1) იმ შემთხვევაში, თუ გოეთეს ინსტიტუტი გამოავლენს დარღვევებს ან ფაქტს, რომ ხელშეკრულების პირობები დაარღვია ბენეფიციარმა, გოეთეს ინსტიტუტს უფლება ექნება ნებისმიერ დროს შეაჩეროს, შეამციროს ან § 12 (ხელშეკრულების შეწყვეტა) შესაბამისად შეწყვიტოს გრანტის გადახდა.

(2) შეჩერების შემთხვევაში, გადახდები განახლდება იმ მომენტიდან, როგორც კი დასახელებულ წინაპირობებს შეასრულებს ბენეფიციარი და ამის შესახებ ინფორმაციას მიიღებს გოეთეს ინსტიტუტი.

(3) გადახდების შემცირების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება გადახდის თანხები. იმ შემთხვევაში, თუ აღმოიფხვრება შეუსაბამობები ან კონტრაქტის დარღვევები და სათანადოდ აღდგება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შემცირება შეიძლება გაუქმდეს და გრანტის გადახდა გაგრძელდეს თავდაპირველი შეთანხმების შესაბამისად.

(4) გრანტის შეჩერებამდე, შემცირებამდე ან შეწყვეტამდე, გოეთეს ინსტიტუტი ბენეფიციარს მისცემს პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას და შესაძლოა ბენეფიციარს გაუგზავნოს გაფრთხილება.

DRAFT

§ 9 გრანტის დაბრუნება

(1) გოთეს ინსტიტუტის მოთხოვნით, ბენეფიციარმა მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა დააბრუნოს გრანტი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ძალას დაკარგავს ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობები;

ბ) ხელშეკრულება გაფორმდება ხელშეკრულების პარტნიორის არასწორი ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ თუ ხელშეკრულების პარტნიორი წარადგენს ანგარიშს, რომელიც არ არის სრული, სწორი ან არ შეესაბამება ბიზნესის სათანადო მართვის წესებს.

გ) ბენეფიციარი დაარღვევს ხელშეკრულების არსებით ვალდებულებებს;

დ) ფულადი სახსრები არ არის გამოყენებული ან არ არის სათანადოდ ან დანიშნულებისამებრ გამოყენებული.

ე) ხელშეკრულება გაფორმდება ხელშეკრულების პარტნიორის არსებითად არასწორი ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე,

ვ) ბენეფიციარი მიიღებს ორმაგ დაფინანსებას ერთიდაიმავე პროექტისთვის;

ზ) ბენეფიციარს არ შეუძლია სათანადოდ დაასაბუთოს მოთხოვნილი ხარჯები; ან

თ) ბენეფიციარის მიერ სათანადოდ დადასტურებული ხარჯები მიუღებელი აღმოჩნდება.

(2) თანხის ანაზღაურების მოთხოვნა დაკმაყოფილდება მისი წარმოქმნისთანავე და მოცემული მომენტიდან თანხას დაერიცხება პროცენტი, „დოიჩე ბუნდესბანკ“-ის საბაზისო განკვეთზე ხუთი პროცენტული პუნქტის ოდენობით.

(3) ასანაზღაურებელი თანხა არის გადახდის დროს მითითებული თანხა, წარმოდგენილი ევროებში (ნაწილობრივ გადახდის შემთხვევაში, მათი მთლიანი თანხა ევროებში). ადგილობრივ ვალუტაში გადახდის შემთხვევაში, ევროებში წარმოდგენილი თანხა იქნება თანხა, რომელიც მიიღება გადახდის დღეს ევროპის ცენტრალური ბანკის მოქმედი გაცვლითი კურსის საფუძველზე.

(4) თანხის დაბრუნება უნდა მოხდეს მოთხოვნიდან 21 დღის განმავლობაში.

(5) დანაკლისი არ შეიძლება გაიქვითოს მომდევნო წლისთვის გაცემულ გრანტის თანხაში.

DRAFT

§ 10 კონტროლი, აუდიტი

(1) პროექტის განხორციელების პროცესში და დარჩენილი ნაშთის გადახდიდან ათი წლის განმავლობაში, გოეთეს ინსტიტუტს უფლება აქვს შეამოწმოს სათანადოდ ახორციელებს ან/და განახორციელა თუ არა ბენეფიციარმა პროექტი და ასრულებს ან/და ასრულებდა თუ არა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ასეთი შემოწმება ითვალსიწინებს ბენეფიციარის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოწერის სიზუსტისა და სისწორის შემოწმებას.

(2) გოეთეს ინსტიტუტს უფლება აქვს მოითხოვოს ბენეფიციარისგან ბუღალტრული წიგნები, ქვითრები და სხვა ფინანსური დოკუმენტები, ასევე თავად ან გარეშე პირების დახმარებით ჩაატაროს ადგილზე აუდიტი, თუ როგორ გამოიყენება გრანტის თანხა. ანალოგიური უფლება აქვს ევროკომისიასაც. ბენეფიციარი წარადგენს აუცილებელ დოკუმენტაციას, საჭირო ინფორმაციას და - ადგილზე აუდიტის შემთხვევაში - გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლებს, ევროკომისიას ან მათ წარმომადგენლებს მისცემს პროექტის განხორცელების ობიექტებში შესვლის უფლებას.

(3) ბენეფიციარმა უნდა შეინახოს ყველა ორიგინალი დოკუმენტი - კერძოდ სააღრიცხვო და საგადასახადო დოკუმენტები - იმ თარიღიდან ათი წლის განმავლობაში, როდესაც გადახდილი იქნება ნარჩენი ნაშთი, ნებისმიერი შესაფერისი საშუალებების გამოყენებით - მათ შორის ციფრული ორიგინალები, იმ პირობით, თუ დაშვებულია მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით და ხორციელდება სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

(4) ყოველი აუდიტის შემდეგ გოეთეს ინსტიტუტი, ევროკომისია ან/და მათი წარმომადგენელი მოამზადებენ აუდიტურ დასკვნას.

(5) აუდიტური დასკვნის დასრულების შემდეგ, გოეთეს ინსტიტუტი ბენეფიციარს აცნობებს დასკვნის ძირითად შედეგებს. თუ პროექტი ჯერ კიდევ არ იქნება დასრულებული, ბენეფიციარი ვალდებულია დაუყოვნებლად განახორციელოს გოეთეს ინსტიტუტის რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულია აუდიტური დასკვნის შედეგებიდან და შესაბამისი მტკიცებულებები მიაწოდოს გოეთეს ინსტიტუტს მოთხოვნის საფუძველზე.

DRAFT

§ 11 ცვლილებები ხელშეკრულებაში

(1) წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, დასაბუთდეს სათანადოდ და საჭიროების შემთხვევაში, დამოწმდეს ჩანაწერებში.

(2) ცვლილების მიზანი ან შედეგი არ იქნება ხელშეკრულების იმგვარად შეცვლა, რომ გრანტის მინიჭების გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ან დაირღვეს სხვა განმცხადებლების თანასწორი მოპყრობის პირობები.

(3) ცვლილებები ძალაში შევა ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებული თარიღიდან ან თუ ასეთი თარიღი არ არის მითითებული, იმ თარიღიდან რომელზეც შესწორებული ხელშეკრულება შევა ძალაში.

§ 12 ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ბენეფიციარს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება სათანადო შეტყობინების საფუძველზე კალენდარული თვის ბოლოს. შეწყვეტის შესახებ შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს შეწყვეტის მიზეზი და შეწყევტის ძალაში შესვლის თარიღი; ხელშეკრულების შეწყვეტის ყველაზე ადრეული თარიღი არის მომდევნო კალენდარული თვის ბოლო.

(2) გოეთეს ინსტიტუტს უფლება აქვს წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვიტოს დასაბუთებული მიზეზით, ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი გარემოების დადგომის შემთხვევაში:

ა) ხორციელდება ცვლილება სამართლებრივ, ფინანსურ, ტექნიკურ ან ორგანიზაციულ პირობებში ან ბენეფიციარის საკუთრებაში, რაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ხელშეკრულების შესრულებას ან ეჭვქვეშ დააყენებს გრანტის გაცემის გადაწყვეტილებას;
ბ) ბენეფიციარი არ განახორციელებს პროექტ(ებ)ს შეთანხმების მიხედვით, ე.ი. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა არსებით ვალდებულებას არაჯეროვნად, არასრულად ან დაგვიანებით შეასრულებს ან არ შეასრულებს;

DRAFT

გ) ბენეფიციარი ან პირი, რომელსაც აქვს შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ბენეფიციარის დავალიანებაზე, მოქმედებს ფინანსური რეგულაციის 136(1)(ა) ან (ბ) მუხლში მითითებული ერთ-ერთი გარემოების ფარგლებში;[1];

დ) ბენეფიციარი ან ბენეფიციართან აფილირებული მხარე აღმოჩნდება ფინანსური რეგულაციის 136(1)(გ) – (ვ) მუხლში მითითებულ ერთ-ერთ გარემოებაში ან შედის ფინანსური რეგულაციის 136 (2) მუხლის ფარგლებში.

ე) გოეთეს ინსტიტუტს აქვს მტკიცებულება, რომ ბენეფიციარმა ან მისმა აფილირებულმა მხარემ დაუშვა სერიოზული შეცდომები, დარღვევები ან მაქინაციები გრანტის მინიჭების პროცესში ან ხელშეკრულების გაფორმების დროს, მათ შორის ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც ბენეფიციარმა ან შესაბამისმა აფილირებულმა მხარემ წარმოადგინა არასწორი ინფორმაცია ან არ წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია;

ვ) გოეთეს ინსტიტუტს აქვს მტკიცებულება, რომ ბენეფიციარი უშვებს სისტემურ ან განმეორებით შეცდომებს, აქვს დარღვევები, ჩაიდინა თაღლითური ქმედებები ან არსებითად დაარღვია მოვალეობები სხვა ფინანსურ გრანტებთან დაკავშირებით, რომლებიც ბენეფიციარს მიენიჭა ევროკავშირის ან ევრატომის მეშვეობით ანალოგიურ პირობებში და რომ შეცდომებს, დარღვევებს, თაღლითობას ან მოვალეობის დარღვევას არსებითი გავლენა აქვს გრანტზე; ან

ზ) გოეთეს ინსტიტუტმა მოითხოვა, რომ ბენეფიციარს შეეწყვიტა აფილირებული ინსტიტუტის მონაწილეობა, რადგან აღნიშნული ინსტიტუტი მოქმედებდა (ე), (ვ) ან (ზ) პუნქტებში მითითებული გარემოებების ფარგლებში და ბენეფიციარმა არ მოითხოვა ცვლილების განხორციელება აღნიშნული ინსტიტუტის მონაწილეობასთან დაკავშირებით ან არ გადაანაწილა აღნიშნული ინსტიტუტის ამოცანები.

(3) შეწყვეტა დასაბუთებული მიზეზით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გოეთეს ინსტიტუტი:

ა) (2) (ა) და (გ) - (ზ) ქვეპუნქტებში მოცემულ შემთხვევებში ბენეფიციარს შეატყობინებს შეწყვეტის განზრახვის, ასევე შეწყვეტის მიზეზების შესახებ და მისცემს შესაძლებლობას დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია გონივრული ვადის, მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში;

ბ) (2) (ბ) ქვეპუნქტის შემთხვევაში, ასეთი დარღვევის გამოსასწორებლად ბენეფიციარს მისცემს გონივრულ ვადას, რომელიც შეადგენს მინიმუმ ორ კვირას.

(4) ბენეფიციარმა მოთხოვნა ნარჩენი ნაშთის გადახდაზე უნდა წარადგინოს შეწყვეტის ძალაში შესვლის თარიღიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში. გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია შეწყვეტის თარიღამდე და არ არის მოთხოვნილი გოეთეს ინსტიტუტის მიერ. თუ გოეთეს ინსტიტუტი მითითებულ ვადაში არ მიიღებს მოთხოვნას ნარჩენი ნაშთის გადახდის

[1]Regulation (EU, Euratom) 2018/1046 of the European Parliament and of the Council of 18 July 2018 on the financial rules applicable to the general budget of the Union.

შესახებ, მაშინ გრანტით დაიფარება ან/და ანაზღაურდება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც ჩამოთვლილია განხორციელების დამტკიცებულ ანგარიშში და დამტკიცებულ ამონაწერში.

(5) თუ გოეთეს ინსტიტუტი შეწყვეტს ხელშეკრულებას (2) ქვე-მუხლის შესაბამისად, გოეთეს ინსტიტუტს უფლება ექნება ბენეფიციარისგან მოითხოვოს უკვე დამტკიცებული და გადახდილი გრანტის თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარს არ ექნება დაკავების უფლება უკვე დახარჯული დამტკიცებული თანხის საფუძველზე.

§ 13 საკუთრების უფლება და შედეგების გამოყენება

ბენეფიციარი გოეთეს ინსტიტუტს ანიჭებს არაექსკლუზიურ, გადაცემად და უვადო გამოყენების უფლებას (მათ შორის რედაქტირებისა და კვლავწარმოების უფლებები) ანგარიშებზე, პროექტთან დაკავშირებულ შემდგომ დოკუმენტებზე და ყველა სხვა სამუშაო შედეგებზე, მათ შორის კომპიუტერულ პროგრამებზე, რომლებიც წარმოებულია პროექტის განხორციელების პროცესში და მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

§ 14 კონფიდენციალობა

(1) ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან დაიცვან პროექტის განხორციელების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის და დოკუმენტების კონფიდენციალობა და ასეთი ინფორმაცია და დოკუმენტები გამოიყენონ მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ეს ვალდებულება ძალაში დარჩება ნარჩენი ნაშთის გადახდის შემდეგ ათი წლის განმავლობაში.

(2) კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას არ აქვს ძალა, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გამმჟღავნებელი მხარე მეორე მხარეს გაათავისუფლებს აღნიშნული ვალდებულებებისგან;

ბ) შესაბამისი კონფიდენციალური ინფორმაცია ან დოკუმენტი გასაჯაროვდება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებების დარღვევის გარეშე;

გ) კონფიდენციალური ინფორმაციის ან დოკუმენტების გამჟღავნება მოითხოვება კანონით.

§ 15 მონაცემთა დაცვა

(1) მხარეებმა ყოველთვის უნდა შეასრულონ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მოთხოვნები[2]. კერძოდ, თითოეულმა მხარემ უნდა გადაამოწმოს, შეესაბამება თუ არა მონაცემები GDPR-ის პერსონალური მონაცემების განსაზღვრებას.

(2) პერსონალური მონაცემების წარდგენისას, მხარემ იმავდროულად უნდა მიუთითოს GDPR 13 და 14 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაცია, ასევე დამუშავების სამართლებრივი საფუძველი(ებ)ი, მათ შორის ნებისმიერი შემდგომი დამუშავების მიზნები. თუ მხარე პირდაპირ არ განაცხადებს, რომ მისი მონაცემები შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, მაგრამ ასეთი მონაცემები ნამდვილად შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, მაშინ მხარე, რომელმაც წარმოადგინა ასეთი მონაცემები, მეორე მხარეს ან მხარეებს გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ყველა ვალდებულებასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება მეორე მხარის ან მხარეების მიერ ასეთი მონაცემების დამუშავების შედეგად.

(3) იმ შემთხვევაში, თუ მხარე გამოავლენს მონაცემთა დაცვის პოტენციურ დარღვევას ან მონაცემთა გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს, მაშინ ეს მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მონაცემთა მომწოდებელ მხარეს ისე, რომ მონაცემთა მომწოდებელმა მხარემ შეძლოს ზომების მიღება მონაცემთა დაცვის აღსადგენად.

§ 16 პასუხისმგებლობა

(1) გოეთეს ინსტიტუტი არ იქნება პასუხისმგებელი ღონისძიების განხორციელების პროცესში ან შედეგად ბენეფიციარ(ებ)ის ქონებისთვის ან პერსონალისთვის მიყენებულ ზიანზე. შესაბამისად ბენეფიციარ(ებ)ს არ შეუძლიათ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება ან გადახდის გაზრდა ასეთ ზარალთან დაკავშირებით.

DRAFT

(2) ბენეფიციარ(ები) იღებენ ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას მესამე პირების წინაშე, მათ შორის პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის ზიანზე, რომელიც მიადგებათ შესაბამისი მოქმედების განხორციელებისას ან შედეგად.

(3) ბენეფიციარ(ებ)ი ასევე პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებენ გოეთეს ინსტიტუტს ნებისმიერ მოთხოვნასთან ან სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც აღიძვრება ბენეფიციარ(ებ)ის ან ბენეფიციარის თანამშრომლების ან იმ პირების მიერ, რომლებზეც პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული თანამშრომლები, დარღვევის შედეგად ან მესამე პირების უფლებების დარღვევის შედეგად. ამ პუნქტის შესაბამისად, მესამე მხარეებში ასევე შედიან ბენეფიციარ(ებ)ის თანამშრომლები.

§ 17 სხვადასხვა დებულებები

(1) წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული დებულებების პოტენციური ქმედუუნარობა გავლენას არ იქონიებს მის ქმედუნარიანობაზე სხვა კუთხით. ასეთ შემთხვევაში, ქმედუუნარო დებულება ხელახლა განიმარტება ან დაემატება იმ სახით, რომ მაქსიმალურად იყოს მიღწეული მისი მიზანი. ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი პოტენციური ხარვეზის აღმოფხვრაზე.

(2) გრანტი არ წარმოადგენს გოეთეს ინსტიტუტთან რაიმე სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის დამყარების საფუძველს.

§ 18 მოქმედი კანონი

კონტრაქტის პარტნიორები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დაექვემდებარება ევროკავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობას და რომ ხელშეკრულების შესაბამისად, ნებისმიერი დავა განსახილველად წარედგინება სამოქალაქო სასამართლოს, რომელსაც გააჩნია იურისდიქცია გოეთეს ინსტიტუტის სათავო ოფისზე მიუნხენში, გერმანიაში.

DRAFT

(ადგილი, თარიღი)	(ადგილი, თარიღი)
(ხელმოწერა, გოეთეს ინსტიტუტი)	(ხელმოწერა, ბენეფიციარი)

****

Goethe-Institut e.V.

წარმოდგენილი გოეთეს ინსტიტუტის მიერ<<Ort>>

«მისამართი»

DRAFT

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსი

დანართი #3

სამუშაო გეგმა და სახელმძღვანელო მითითებები

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პერიოდი:

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის განხორციელების ვადა საგრანტო კონკურსის სამუშაო გეგმის თანახმად მოიცავს 2-თვემდე პერიოდს.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადა არის 2024 წლის 18 ივნისი.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის ყველა პროცესი უნდა დასრულდეს საგრანტო პერიოდის დასრულებამდე.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პროცესი:

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის სათანადოდ განხორციელებისთვის:

- პროექტის განხორციელების პროცესის შუალედური შეფასების სესიის გამართვა მუნიციპალიტეტის მერიასთან გრანტების მენეჯერის მიერ.

- საინფორმაციო წერილი, მომავალი ღონისძიებებისა და ვადების მითითებით, ბენეფიციარს გაეგზავნება ელექტრონულად, ელ-ფოსტით.

სამუშაო გეგმა

პროექტის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს ბენეფიციარისთვის სავალდებულო ძირითად ეტაპებს და მოიცავს ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პროცესს, ასევე ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მეთოდოლოგიის შესახებ სავალდებულო ტრენინგებში მონაწილეობას, განხორციელების პროცესის შუალედური შეფასების სესიას, „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე დასწრებას, საბოლოო ანგარიშის ფორმის და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტის წარდგენას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბენეფიციარებისთვის სავალდებულო 4 ეტაპი და ერთი საბოლოო დოკუმენტი, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს პროექტის განხორციელების ვადის ამოწურვამდე.

	ღონისძიების აღწერა	**დამადასტურებელი საბუთი**
1-ელი ეტაპი	2024 წლის აპრილს/მაისს ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიის შესახებ სავალდებულო ონლაინ ტრენინგზე დასწრება და მონაწილეობა, რომელსაც ატარებენ მოწვეული ექსპერტები.	- მონაწილეთა სია – ონლაინ ტრენინგში მონაწილე მუნიციპალიტეტის ოფიციალური წარმომადგენლები შეავსებენ მონაწილეობის ფორმას. ონლაინ ტრენინგის ვიდეოჩანაწერი - მონაწილე პირთა თანხმობით, განხორციელდება ონლაინ ტრენინგის ჩაწერა.
მე-2 ეტაპი	განხორციელების პროცესის შუალედური მიმოხილვის სესია	- პროცესის შუალედური მიმოხილვა ჩატარდება პროექტის განხორციელების პერიოდის პირველი თვის შემდეგ.
მე-3 ეტაპი	მუნიციპალიტეტის მერის ან/და ოფიციალური წარმომადგენლის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე.	- მონაწილეთა რეგისტრაციის ფორმა – ღონისძიებაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის ოფიციალური წარმომადგენელები ადგილზე შეავსებენ რეგისტრაციის ფორმას. - ღონისძიების ფოტოები – დამსწრე პირთა თანხმობით, შესაძლებელი იქნება ფოტოების გადაღება.
მე-4 ეტაპი	საბოლოო ანგარიშის ფორმის წარდგენა	- განხორციელებული ღონისძიებების საბოლოო ანგარიშის ფორმა (მათ შორის შედეგები, გამოწვევები და მიღებული გამოცდილება, ჯგუფის წევრების როლების განაწილება და სხვა) წარადგინა ბენეფიციარმა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად და პროექტის განხორციელების ვადის ამოწურვამდე.
საბოლოო დოკუმენტი	ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის დოკუმენტის შექმნა აღნუსხვის მეთოდოლოგიის და ჩატარებული ტრენინგების შესაბამისად.	- ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის დასრულებული დოკუმენტი (შევსებულია საკონტროლო ჩამონათვალის ფორმა; შექმნილია ინფრასტრუქტურის დოკუმენტაცია; წარმოდგენილია შენობების ფოტოები ...) წარდგენილია პროექტის განხორციელების ვადის ამოწურვამდე.

სამუშაო გეგმის განხორციელების განრიგი:

	აქტივობა	*I კვირა*	*II კვირა*	*III კვირა*	*IV კვირა*	*V კვირა*	*VI კვირა*	*VII კვირა*	*VIII კვირა*	*IX კვირა*
1	ონლაინ ტრენინგში მონაწილეობა									
2	ფიზიკური აღნუსხვის პროცესი, ფიზიკური აღნუსხვის დოკუმენტაციის შექმნა									
3	განხორციელების პროცესის შუალედური მიმოხილვა									
4	„შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე დასწრება.**									
6	ფიზიკური აღნუსხვის დოკუმენტის წარდგენა									
7	საბოლოო ანგარიშის ფორმის წარდგენა									

**შენიშვნა: სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი პირობითია. მუნიციპალიტეტმა ფიზიკური აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტი უნდა წარადგინოს 2024 წლის 18 ივნისს.*

***შენიშვნა: ბენეფიციარს მინიმუმ 2 კვირით ადრე ეცნობება გახსნითი ღონისძიების თარიღი.*

შემოქმედებითი კომპასი საქართველო

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსი

დანართი #5

ბიუჯეტი

5,000 (ხუთი ათასი) ევრო

ჯამური თანხა

საგრანტო კონკურსის სახელი: ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა საქართველოს მუნიციპალიტეტებში.

გრანტი გაიცემა ერთიანი გადახდით კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ. დაფინანსების პერიოდი მითითებულია კონტრაქტის §2-ში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება ან უფლება არ არსებობს.

პროექტი გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან. შესაბამისი დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე - rs.ge. საგადასახადო შეღავათების ბენეფიციარების რეესტრში. გოეთეს ინსტიტუტის რეგისტრაციის ნომერი: 404599939.

თავდაპირველი გადახდა: გრანტის თანხის 100% (5,000 ევრო) (სიტყვიერად: ხუთი ათასი ევრო) გადახდილი იქნება თავდაპირველად ხელმოწერილი კონტრაქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

გრანტიდან მიღებული ფულადი სახსრები განკუთვნილია მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებული მიზნების მისაღწევად და დაიხარჯება ხელშეკრულების §4, §5, და §10 შესაბამისად.

ხარჯის აღწერა	თანხა
1. ფიზიკური აღნუსხვის ჩატარება მუნიციპალიტეტში	5,000 ევრო
ჯამი:	**5,000 ევრო**

ფიზიკური აღნუსხვის საბოლოო შინაარსობრივი ფორმა

[მუნიციპალიტეტი]

კონტრაქტის ნომერი:

განხორციელების პერიოდი:

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: (Default) Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

საბოლოო შინაარსობრივი ფორმის ნიმუში

საბოლოო ანგარიშის ფორმის მიზანია ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შეფასება.

ფორმა უნდა შეავსოს და ხელი მოაწეროს ბენეფიციარის მთავარმა პასუხისმგებელმა საკონტაქტო პირმა.

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს კონტრაქტის დანართ 3-ს - სამუშაო გეგმა და სახელმძღვანელო მითითებები.

გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში არ მიიღებს არასრულად ან არასათანადოდ შევსებულ ფორმებს.

1. აღნუსხვის განხორციელების პროცესის შეფასება
1.1 ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის შეჯამება
გთხოვთ, წარმოადგინეთ ფიზიკური აღნუსხვის პროცესის ზოგადი მიმოხილვა / ანალიზი. წარმოდგენილ ინფორმაციაში აღწერილი უნდა იყოს პროცესი, რომელიც იწყება ონლაინ სავალდებულო ტრენინგით, მოიცავს ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის დოკუმენტაციის დასრულებას და წარდგენას; ინფორმაციას თუ როგორ წარიმართა პროცესი, დროულად განხორციელდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა? *მაქსიმუმ 250 სიტყვა.*
1.2 შედეგები, ძირითადი დასკვნები და დაკვირვებები
როგორ შეაფასებდით ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის შედეგებს? განიხილეთ აღნუსხვის პროცესისა და დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნები. გაკეთებული ძირითადი დასკვნები და დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები. *მაქსიმუმ 200 სიტყვა.*
1.3 გამოწვევები და მიღებული გამოცდილება
განიხილეთ ნებისმიერი გამოწვევა/შეზღუდვა, რომელიც წარმოიქმნა პროექტის განხორციელების პროცესში (მათ შორის, გადაადგილებასთან, გარემოსთან დაკავშირებული საკითხები, ადამიანური რესურსები) და როგორ აღმოიფხვრა აღნიშნული გამოწვევები; როგორ გააუმჯობესებდით ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესს/მეთოდოლოგიას? გაგვიზიარეთ მიღებული გამოცდილება, შეძენილი ახალი უნარები. როგორ გამოიყენებს მუნიციპალიტეტი ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მონაცემებს მომავალში? *მაქსიმუმ 250 სიტყვა.*
1.4 გუნდში როლების და პასუხისმგებლობების განაწილება
გთხოვთ, დეტალურად აღწერეთ, როგორ განაწილდა და შესრულდა პასუხისმგებლობები გუნდის წევრებს შორის პროექტის განხორციელების პროცესში. გაგვიზიარეთ მოსაზრებები, რა წვლილი შეიტანა როლების განაწილებამ ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის საერთო წარმატებაში.

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

მაქსიმუმ 150 სიტყვა.

2. ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის შედეგების პრეზენტაცია

2.1 მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა და აღნუსხული ობიექტების მიმოხილვა

გთხოვთ, მოკლედ ასახეთ რა ტიპის და რამდენი შენობის აღნუსხვა განხორციელდა, როგორ განაწილდა საკუთრების სტატუსი (მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე ან კერძო მფლობელობაში არსებული შენობების გადანაწილება).

მაქსიმუმ 150 სიტყვა.

2.2 ფოტო-დოკუმენტაცია, რომელზეც ასახულია ძირითადი შენობა/ ინფრასტრუქტურა / სივრცე მუნიციპალიტეტში, გადაღებული ფიზიკური აღნუსხვის პროცესში.

გთხოვთ, დაურთეთ შენობის/ინფრასტრუქტურის/სივრცის ფოტო, როგორც მუნიციპალიტეტის ფიზიკური აღნუსხვის დოკუმენტაციის მთავარი ფოტო, რომელიც გადაღებულია ფიზიკური აღნუსხვის პროცესის ფარგლებში.
აღნიშნული ფოტოს ტექნიკური მოთხოვნებისთვის, დაიცავით შემდეგი სახელმძღვანელო მითითებები:

ფოტოგრაფის პროფილი:
სახელი:
გვარი:

გამოსახულების ხარისხი:
გამოსახულება უნდა იყოს მკაფიო, კარგად ფოკუსირებული, დაბალანსებული განათებით. ზედმეტი ზემოქმედების, ან ჩარევის გარეშე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს გამოსახულების ხარისხზე და ვიზუალზე. შენობის ან ინფრასტრუქტურის გამოსახულებები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ლანდშაფტის, ასევე, ვერტიკალურ კონფიგურაციებში.

ფაილის ნებადართული ტიპები
JPG, PNG, TIFF

გარჩევადობა

ჰორიზონტალური ფოტოები: სულ მცირე 6000px განივ ზომაზე, 300 dpiვერტიკალური ფოტოები: სულ მცირე 6000px გრძივ ზომაზე, 300 dpi

თანმიმდევრობა
ერთიდაიმავე შენობის სხვადასხვა გამოსახულებაში შეინარჩუნეთ თანმიმდევრობა განათების პირობებში და კომპოზიციაში. თანმიმდევრობა განაპირობებს შესაბამის და პროფესიონალურ მიდგომას საბოლოო პრეზენტაციაში.

პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი: .....

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

Formatted: Font: Sylfaen

ხელმოწერა: …… მუნიციპალიტეტი: ……

ანგარიშის გაგზავნის თარიღი: ……

საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო ინფორმაცია							
გრანტის მიმღების სრული ოფიციალური დასახელება (მუნიციპალიტეტის მერია)	მუნიციპალიტეტის მერიის სარეგისტრაციო კოდი	მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური მისამართი	მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა	მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი და სამსახურებრივი პოზიცია	სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშის საბანკო რეკვიზიტები, სადაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის მერიისთვის გრანტის ჩარიცხვა ევროში/**IBAN**	მუნიციპალიტეტის მერიის მომსახურე ფინანსური ინსტიტუციის/ბანკის დასახელება	მუნიციპალიტეტის მერიის მომსახურე ფინანსური ინსტიტუციის/ბანკის Swift კოდი

საკონტაქტო ინფორმაცია პროექტის ფარგლებში							
პროექტის ფარგლებში **მთავარი საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა**	პროექტის მთავარი საკონტაქტო პირის სახელი, გვარი	პროექტის მთავარი საკონტაქტო პირის სამსახურეობრივი პოზიცია	პროექტის მთავარი საკონტაქტო პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	პროექტის მთავარი საკონტაქტო პირის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა	პროექტში ჩართული **პირ(ებ)ის** სახელი, გვარი (რამდენიმეს შემთხვევაში, გთხოვთ, ჩამოთვალოთ შესაბამისად)	პროექტში ჩართული **პირ(ებ)ის** სამსახურეობრივი პოზიცია	პროექტში ჩართული **პირ(ებ)ის** საკონტაქტო ელ. ფოსტა

Creative Compass Georgia

Physical Mapping Grant

Annex #3

Work plan and Guidelines

Period for carrying out physical mapping:

The grant workplan includes period of 2 months for implementation of mapping activities.

The grant workplan includes period up to 2 months for implementation of mapping activities. The deadline for submitting final physical mapping documentation is 18th of June, 2024.

All mapping activities must be finalized by the end of the grant period.

Physical mapping implementation process:

To ensure the proper implementation process of the physical mapping:

- The grant manager will organize midterm progress review session with the municipality.

- Information letter and newsletter indicating upcoming events and deadlines will be sent to the beneficiary electronically by email.

Work plan

Work plan of the project envisages milestones, that are obligatory for the beneficiary to implement, it includes physical mapping implementation process as well as participation in the compulsory trainings on the physical mapping methodology, midterm progress review session, attendance on the Creative Compass Georgia kick-off event, submission of the final narrative form and a final document of the physical mapping.

In the framework below, there are given 4 obligatory milestones for the beneficiaries to carry out and one final document to be submitted before the project implementation period deadline:

	Description of the action	**Proof of Evidence**
1st Milestone	Presence and attendance on a compulsory training on the physical mapping methodology online in April/May 2024 conducted by the External experts.	- Participants attendance list – Official representatives of the municipality attending the online training will fill in the attendance form. - Video recording of the online training – with the consent of the attendees, online training will be recorded.
2nd Milestone	Midterm progress review session	- Midterm progress review will be carried out after the first month of the project implementation period.
3rd Milestone	Attendance of the mayor and/or official representative of the municipality at the Kick-off Event of Creative Compass Georgia	- Participants registration form – Official representatives of the municipality attending the event will fill in the registration form onsite. - Photos of the event – with the consent of the attendees, the meeting will be photographed.
4th Milestone	Submission of a final narrative form	- Final narrative form is a description of the implemented actions (including outcomes, challenges and lessons learnt, role distribution of the team members etc.) submitted by the beneficiary accordingly to the provided template and until the deadline of the project implementation period.
Final document	Creation of a physical mapping document in accordance with the mapping methodology and provided trainings.	- Finalized document of the physical mapping (the checklist forms are filled; documentation of the infrastructure is created; photos of the buildings are provided…) submitted until the deadline of the project implementation period.

Work plan timetable:

	Activity	*I Week*	*II Week*	*III Week*	*IV Week*	*V Week*	*VI Week*	*VII Week*	*VIII Week*	*IX Week*
1	Participation in Online Training									
2	Physical Mapping process, creating physical mapping documentation									
3	Midterm progress review session									
4	Attending Creative Compass Georgia Project Kick-off event**									
6	Submitting of the Physical Mapping Document									
7	Submission of a final narrative form									

**Note: The action plan timing is tentative.*
The municipality needs to submit final physical mapping document on 18th of June, 2024.

***Note: The beneficiary will be notified about the date of the Kick-off event in advance of min. 2 weeks.*

Creative Compass Georgia

Physical Mapping Grant

Annex #5

Budget

5,000 (five thousand) Euros

Lump sum

Grant name: Conducting a physical mapping in the municipalities of Georgia.

The grant will be disbursed in a single installment upon contract signing. The funding period is specified in §2 of the contract. There is no obligation or entitlement for financial support beyond this period.

The project is exempt from VAT in Georgia. The relevant document can be viewed on the website of the Revenue Service at rs.ge. in the register of beneficiaries of tax concessions. Goethe Institute Registration Number: 404599939

Initial pre-financing payment: 100% of the grant amount (EUR 5,000) (in words: five thousand euros) will be paid no later than 15 (fifteen) working days after the submission of the originally signed contract to the contracting authority.

Funds from the grant are designated solely for achieving the objectives outlined in this contract and must be spent in accordance with §4, §5, and §10 of the contract.

The description of the cost:	Amount
1. Conducting a physical mapping in the Municipality	5,000 EUR
Total sum requested for the activity	5,000 EUR

PHYSICAL MAPPING FINAL NARRATIVE FORM

[MUNICIPALITY]

Contract Number:

Implementation Period:

Final narrative form is aimed on providing assessment of implementation of activities carried out within Physical mapping grant project.

This form must be completed and signed by the main responsible contact person of the beneficiary.

The information provided below must correspond to the contract Annex 3. Work plan and guidelines.

The Goethe-Institut will reject any incomplete or badly completed forms.

1. Assessment of implementation process of mapping
1.1 Summary of the Physical Mapping Process
Please give a global overview of the Physical Mapping process, the information provided should describe the process starting with the online compulsory trainings including the finalization and submission of the physical mapping documentation; how was the process carried out, was the mapping process carried out timely? *Max 250 words.*
1.2 Results, key findings, and observations
How would you evaluate achieved results of the physical mapping process so far? Discuss the key findings and observations made during the mapping process. *Max 200 words.*
1.3 Challenges and lessons learnt
Discuss any challenges encountered during the project (such as logistical, environmental constraints, human resources) and how they were addressed; how would you improve the process/methodology of the physical mapping? Reflect on the lessons learnt, new skills gained. How will the physical mapping data be used or applied by the municipality in future? *Max 250 words.*
1.4 Distribution of the roles and responsibilities within the team
Please, elaborate on how responsibilities were assigned and executed among team members throughout the duration of the project. Share reflections on how the distribution of roles contributed to the overall success of the physical mapping process. *Max 150 words.*
2. Presentation of the Physical Mapping Results
2.1 Short description of the municipality and review of mapped objects
Please review shortly, what type and how many buildings were mapped, what is the distribution between the status of ownership (municipal owned; government owned or private owned). *Max 150 words.*
2.2 Photo depicting a key building/infrastructure/space in the municipality, captured during Physical Mapping process
Please, attach a photo of a building/infrastructure/space as a main representing photo of the municipality, documented as part of the physical mapping process. For technical requirements of the required photo, please adhere to the following guidelines:

Photographer Profile
First Name:
Last Name:

Image Quality
Images should be clear, well-focused, and properly exposed. Avoid excessive noise, distortion, or artifacts that may affect the image quality.
Images of the building or infrastructure should be provided in both landscape and vertical configurations.

Allowed File Types
JPG, PNG, TIFF

Resolution
Landscape images: At least 6000px on the long edge, 300 dpi
Vertical images: At least 6000px on the long edge, 300 dpi

Consistency
Maintain consistency in lighting conditions and composition across different images of the same building. Consistency ensures coherence and professionalism in the final presentation.

Name and Surname of the responsible person: ……

Signature: …… Location: ……

Date report sent: ……